ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალექციო კურსი:
აკადემიური მუშაობის ტექნიკები

განსახილველი საკითხები:

ნაშრომის სტრუქტურული ერთეულები:

- სათაური (ფუნქცია, ტიპები, წერის პრინციპები)

- სარჩევი (დანიშნულება; გაფორმების წესები)
- შესავალი (ფუნქცია, სტრუქტურა)
- აქტუალურობის დასაბუთება (არგუმენტაცია)

საკვლევი საკითხის "დავიწროების" სტრატეგიები

- პერსპექტივის შერჩევა
- დროის მონაკვეთის შეზღუდვა
- ასპექტის დაზუსტება

სარჩევი

სარჩევი ნაშრომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია

- ის მკითხველს პირველ შთაბეჭდილებას უქმნის ნაშრომსა და ავტორზე
- სარჩევი ეხმარება მკითხველს საჭირო მონაკვეთების მიზანმიმართულ ძიებაში
- სარჩევში თავები და ქვეთავები ინომრება იერარქიული სტრუქტურის შესაბამისად,მაგ.:

  თავი მეორე

  2.1

  2.2

  2.3

  2.4

  ……..

- სარჩევის გვერდი ინომრება რომაულად

შესავალი

- საკვლევი პრობლემა
- კვლევის მნიშვნელობა
- კვლევის მიზანი
- ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები

შესავალი უნდა ქმნიდეს კვლევის თეორიულ ჩარჩოს,რომელიც ნათლად მიუთითებს კვლევის ჩატარების აუცილებლობაზე

შესავალში ყალიბდება საკვლევი დებულება,რომლის საფუძველზე ხდება კვლევის მიზნის და საკვლევი საკითხების ჩამოყალიბება

- შესავლის მომზადებისას შემდეგი დეტალებია გასათვალისწინებელი:
- შესავალი უნდა ქმნიდეს კვლევის თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ნათლად მიუთითებს კვლევის ჩატარების საჭიროებაზე.
- შესავალი იწყება კვლევის თეორიული ან ისტორიული საფუძვლებით, საკვლევი სფეროს მიმოხილვით და თანდათან ვიწროვდება საკვლევი თემის და საკითხების წარმოჩენის მიზნით. შესავალში ყალიბდება საკვლევი თემის/პრობლემის დებულება, რომლის საფუძველზე ხდება კვლევის მიზნის, ჰიპოთეზის და საკვლევი საკითხების ჩამოყალიბება.
- საკვლევი პრობლემა ისევე, როგორც კვლევის მიზნები, ჰიპოთეზა და საკვლევი კითხვები გასაგებად და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ყველა კითხვა თანმიმდევრულად და ლოგიკურად უნდა იყოს წარმოდგენილი (ჩატარებული კვლევის ფარგლებში ყველა საკვლევ კითხვას პასუხი თანმიმდევრულად უნდა გაეცეს).
- შესავალში ნათლად უნდა იყოს აღწერილი, როგორ უკავშირდება საკვლევი პრობლემა/თემა მეცნიერების შესაბამის სფეროს.
- შესავლის ტექსტი ყველა მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს.
- შესავალში ისევე, როგორც საშინაო ნაშრომის მთლიან ტექსტში, დაცული უნდა იყოს აკადემიური წერისთვის მისაღები და კონკრეტულ დარგში არსებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმები.
- სასურველია, რომ შესავალი დასრულდეს საშინაო ნაშრომის მომდევნო ნაწილების მოკლე აღწერით.

აქტუალურობის დასაბუთება

კვლევის აქტუალურობის დასაბუთება კვლევის ჩატარების აუცილებლობაში დარწმუნებას ისახავს მიზნად, რაც მრავალი წყაროს მიერ განმტკიცებული არგუმეტების დასახელებით მიიღწევა.

კვლევის აქტუალურობის დამადასტურებელი ნაწილი ჩვეულებრივ შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

- საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება
- პრობლემის ბექგრაუნდის მოკლე მიმოხილვა
- დეტალური ინფორმაცია პრობლემის მნიშვნელოვნებაზე
- კვლევის კითხვების ჩამოყალიბება

ამ ელემენტების გარდა, შეთავაზებამ არსებული პრობლემის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა უნდა წარმოჩინოს და დაასაბუთოს, რომ ინფორმაციული ვაკუუმის დაუყოვნებლივ შევსებაა საჭირო.

არგუმენტაციის მიზანი

არგუმენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მსჯელობისათვის ნათელის მოფენას. არგუმენტი არის საბუთი,რომელიც რაიმე აზრის დასამტკიცებლად მოჰყავთ.

არგუმენტაციის მიზანია

- ჩვენი აზრის სისწორეში სხვების დარწმუნება
- მრავალთაგან ერთი შეხედულების დასაბუთება
- ჭეშმარიტების დადგენა

არგუმენტის შეფასების კრიტერიუმები

- მიზნის ადეკვატური
- ნათელი და მკაფიო
- კონკრეტული
- უშუალოდ უნდა ეხებოდეს თემას
- არ უნდაასახავს მკვეთრად პირად, ემოციურ დამოკიდებულებას, გრძნობას, გემოვნებას, რწმენას, რომელთა შემოწმების ობიექტური მექანიზმები არ არსებობს

გამოყენებული ლიტერატურა:

1.თურაბიანი, ქეით ლ.. 2007. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტებისა და მკვლევრებისათვის. 2..არგუმენტაციის შექმნის გზები და სტრატეგიები.თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი. ფირცხალავა,ნათია.2005

3. ჩუბინიძე, ნინო (რედ.). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. თბილისი.

4. www. activemultimedia.co.uk

5. www.bethelcollege.edu/assets/content/services/writingcenter/essay-structure-diagram.jpg
www.grammar.ccc.commnet.edu/grammar/composition/argument.htm

გმადლობთ ყურადღებისათვის